

ნაპნაუნ

13-85

ნახ. ჯ. ლომუანი



ღმის,
 ელკობლიქს,
 ნაკობანს —
 ერეუთიარნი
 დანეობა!

ეგეთ რეო
 ვეზევიტ, —
 რეან ვეზევიტ
 ინეაკჰმს,
 ტიროზს და
 სეკობანს!..
 გეცეუთანს,
 გახრნანს
 კეტილანს,
 დეცეუბანს,
 ტოტსლარ
 დანეობანს!..





სიბითქრალოუი



ზაურ მისხილის ძე ბედოშვილმა, დუშეთის საბჭოთა მეურნეობის მეველემ, უზომოდ მთვრალმა, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ჩაიდინა ბოროტი სულიგნობა: გაველურებულმა მეველემ სულიგნური ქვენაგრძობითა და განსაკუთრებული სისასტიკით, სპეციალურად დამზადებული დანის ხუთჯერ დარტყმით, მოკლა რ. ა. თაბორიძე.

ატენილ ჩხუბსა და აყაღმყაღში აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე უზომოდ მთვრალეები — ჟინვალქვის გვირაბამყვანი გივი მისხილის ძე გუდიშვილი და სსრკ 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ამწე-ზეინკალი რვეჯ ალექსანდრეს ძე გუდიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სასჯელთა ერთობლიობით მკვლელს, **ზ. მ. ბედოშვილს**, მიუსაჯა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა. იგივე განაჩენით სამსამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ **გ. მ. გუდიშვილს** და **რ. ა. გუდიშვილს**.

ის მკვლელ ომბა მოხდა სოფელ ჯოყლოს აფთიაქთან. ადრე ნასამართლეთი შერაბ მისხილის ძე მინაშვილი ჯოყლოს აფთიაქის გამგეს — ალექსი მახაშას ძე ბორჩაშვილს გადაეკიდა, დეფიციტური წამლები უნდა მომყიდოთ! უარი რომ მიიღო, ისინი წაკამათდნენ, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენეს ერთმანეთს. ამის შემდეგ მინაშვილმა აფთიაქიდან ძალით აიღო 15 მანეთის მედიკამენტები გავიდა გარეთ და ჩაჯდა თ. ფურიშვილის კუთვნილ ავტომანქანაში. ა. ბორჩაშვილი მას დაადევნა, მიუსწრო მანქანაში, სადაც თავში დაახალა პისტოლეთი, რის შედეგად **მ. მინაშვილი** გარდაიცვალა!..

თელავის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით **ა. მ. ბორჩაშვილს** მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. ეს განაჩენი უცვლელადაა დატოვებული რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენით.

ჩვეულებრივად მსმელე მსა თავი მოიყარეს სოფლის პურის საცხობში და სულ ცოტა ხანში 15 ბოთლი არაყი გამოცალეს კუჭიც აეწვით და გონებაც აერიათ. არყის მსმელთა შორის იყვნენ სოფელ ქვედა სიმონეთის მკვიდრნი, მეზობლები — **ვლადიკო**

მისხილის ძე ნიკოლაძე და **გურამ სოსიაშვილი**, რომელმაც ნიკოლაძეს სთხოვა, სახლამდე მიმაცილეო. მიაცილებდა, მაგრამ გზაში ერთმანეთს აუხირდნენ. ეს ახირება ცემა-ტყევაში გადაიზარდა და ნიკოლაძემ ცემით მოკლა **გ. სოსიაშვილი**.

ზეტაფონის სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით მკვლელს, **ვ. მ. ნიკოლაძეს**, მიესაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა.

სოფელ ზედა საქარაში ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა თავგადაკლული ღოთია ოთარ შალვას ძე თავაძე. იგი მართლწესრიგის დარღვევისათვის წინათაც გაასამართლეს, მაგრამ ჭკუა ვერ ისწავლა. მან ბოლო სიმთვრალე სულიგნური გამონდომებით აღნიშნა: ჯერ იყო და, თავის ვარებიძაშვილს — ტარიელ თავაძეს დანით გამოუდგა. მაშინ დედამისმა სცადა მისი შეჩერება, მაგრამ



გამხეცებულმა ოთარმა გინებით აიკლო დედაც და იქ შეკრებილი მეზობლებიც.

ზეტაფონის სახალხო სასამართლომ მართლწესრიგის დამრღვევს ბოროტი სულიგნობისათვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

თბილისელმა **სერგო ვანტანგის ძე ჯიშკარიანმა** „სმა-ჭამა — დიდად შესარგ“ ვერ შეირგო და სიმთვრალეში ჩაიდინა მკვლელობის მცდელობა. ამ ადრე ნასამართლეთის ამჟამინდელი მსხვერპლი შეიქნა მის მეზობლად მცხოვრები **ნუკრი მისხილის ძე ფრანგიშვილი**, რომელსაც სამზარეულო დანით მიაყენა სიცოცხლისათვის საშიში მძიმე ხარისხის დაზიანება, რის გამოც იგი ორი თვის მანძილზე ებრძოდა სიკვდილს და ექიმთა ჩარევით გადარჩა.

თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ მკაცრი შეფასება მისცა მკვლელობის მცდელობის ფაქტს და **ს. ჯიშკარიანს** 10 წლისა და 3 თვის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ჯიშკარიანთა მხარემ საკასაციო საჩივრით მიმართა რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს, რომელმაც ამ დაუსაბუთებელ საკასაციო საჩივარს უარი უთხრა, როგორც უსაფუძვლოს.

როგორც იტყვიან, გვარიანად გამოიბრუვა კახა თეიმურაზის ძე გუნიავა, მთვრალი მიუჯდა მეშვიდე ავტოსატრანსპორტო საწარმოს კუთვნილ ავტომანქანას და გააქროლა ღროებით გამოყენების მიზნით **კ. გუნიავა** ავტონისპექციამ დააკავა და მისი საქმე სასამართლოს გადაეცა.

თბილისის საბურთალოს რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით **კ. გუნიავას** შეეფარდა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

საჩხერის რაიონის კვერეთის დასასვენებელი პანსიონატის ტერიტორიაზე აუთონდილ ანდრეას ძე ზაბახიძემ, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა, გააუპატიურა შაია კურცხალია, რასაც მოჰყვა საშინელი შედეგი — მძიმედ შეურაცყოფილმა თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე!

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენით **ა. ა. ზაბახიძეს** მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

რამაზ ადილის ძე **კოჯავაძე** ორჯერ იყო ნასამართლეთი, მაგრამ მესამედ ჩაიდინა მძიმე დანაშაული. ის თავის ამფსონებთან ერთად დიდხანს სვამდა რესტორან „კრწანისში“. ამის შემდეგ მთვრალმა შეაღწია „კრწანისის“ საწყობში, საიდანაც გაიტაცა 8.250 მანეთის 11 ყუთი უცხოური წარმოების სიგარეტი. მისი რეალიზაცია ვერ შეძლო, რადგან მილიციის მუშაკებმა დააკავეს ვინმე კეთილადის მანქანა, რომელშიც აღნიშნული სიგარეტის ყუთები ელავა. უკეთურ საქმეში გარეული კეთილადი დააკავეს კოჯავაძე კი მიიმალა. მან მიმალვის პერიოდში შეიძინა და უნებართვოდ ატარებდა ცეცხლსასროლ იარაღს, რომლითაც იგი მარნეულში დააკავეს.

შედგა სასამართლო პროცესი თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოში სადაც **რ. ა. კოჯავაძეს** დანაშაულთა ერთობლიობით მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით.

ს. სპამელიანი



გორგობის ხის ამოძირკვა

კაიოს სიყვარული

- **ტაპილი** არ არის ნაყოფი ლოთობისა და დროსტარებისა-
სოფოკლე
- **ლოთობა** უგუნურებამი ვარჯიშია.
პითაგორა
- **სიმთვრალე** კი არ ბადებს ბიწიერებას: ის ამჟღავნებს მას-
აღმოსავლური სიბრძნე
- **ვეროკლეაპი** ამბობენ, ღვინო გონებამახვილობას გვა-
ტებსო! ეს როგორ შეიძლება?! ღვინო ხომ მათ გონებას ართმევს!
ვოლტერი
- **ქასი** რომ დათვრება, გონებას დაკარგავს.
აკაკი წერეთელი
- **დაიძვან** და დაიღუბოს ლოთი კაცის გაჩენის დღე და
საათი!
- **ბახუსის** ერთგულებით სახელგანთქმული... სამსახურში
ვერ იჩენდა ერთგულებას
ნიკოლოზი
- **ვის** გაუგონავ ლოთობით ოჯახი აშენებული?
ბანანა
- **ლოთობა**, დიად, ცუდია!
რაფიელ ერისთავი
- **ლოთბა** კი არ იცის, რომ... ღვინით გაღახულს ჯოხით
გაღახული სჯობია.
- **შავს** ლუდსა, წითელ ღვინოსა განა სუყველას სმა უნდა?
დიმიტრი მანანელი
ხალხური

სხვების ხატრით გალოთებულის სიმღერა

პაროდი



როცა ვიყავ ახალგაზრდა და ბახუსით ძვერდა გული,
გახლდით კარგი მოჭეიფე და თამადა დიდებული!
ახლა, როცა დავძაბუნდი, თმებში გამიჩნდა ჭალარა,
სამჭიქიანს მეძახიან, მსმელნი მიგდებენ მასხარად.
არ ვიცოდი ღვინისა და საკუთარი თავის ყადრი,
ყანწებს, ჯამებს, კათხებს ვცლიდი სხვების თხოვნით, სხვების
ხატრით..

მაქებდნენ და მადიდებდნენ: — ყოჩაღ, რომ სვამ ხარივითო!
მე სულელმა, სხვების ხატრით, მოვკალი თავი თვითონს!
სმავში ზომა არ ვიცოდი (არც ქეიფი იყო ძვირი),
ხან სახელი მიტყდებოდა, ხან — თავი და ხანაც — ცხვირი..
დილით თავი მისკდებოდა, არ ვიცოდი, რაღა მექნა!
სიჭაბუკე შევალე „ვოლბისა“ და ლუდის ძებნას!
ხან ჭკვიანთა ხატრით ვსვამდი, ხან — გიჟის და ფეთიანის
(მე მგონია, სულელი და ხატრიანი ერთი არის!).
ამდენ სმავში ბევრჯერ მომხვდა კაცის მუშტიც, ვირის ტლინკიც,
სამსახურში ქვევრი მერქვა, ოჯახში კი — ღვინის ტიკი.
ზოგი ცალყბად მიდიმოდა: — სმავში არ გყავს ბადალიო!
ვეყმანობდი და ვფიქრობდი: „დავლიო თუ არ დავლიო?“
ჩემს ძმაკაცებს და მეგობრებს ზურგზე ჩემი ცოდვა აწევთ:
თვითონ ცოტას წრუპავდნენ და მე ბოლომდე ვცლიდი ყანწებს!

რომ ვიყავი ხატრიანი, რომ ვიყავი ასე მორცხვი,
სხვები ფეხით მიდიოდნენ, მე შინ ვბრუნდებოდი ფორთხვით..
სხვები თავს უფრთხილდებოდნენ, მე დღეღამე ვიყავ მთვრალი,
სხვები კაპიკს არ ხარჯავდნენ, მე კი დღესაც მახარობს ვალი..
სხვები დარჩნენ ჭკვიანებად, სულელი მე მნახეს მარტო,
სხვებს — „ვოლბეტი“! ჩემი შვილი ნახმარ ველოსიბედს ნატრობს!
ჩემი ღვინით, ჩემი ფულით ვისტუმრებდი მიმსვლელს, მომსვლელს.
ყველა დაწინაურდა და მე კი ბარე ათჯერ მომხსენეს!
სხვებისათვის, გულაღალად, სულ შტოვებდი მე კარს ღიად,
მათ — „ყოჩაღებს“, „კაცურ კაცებს“, და მე „ძველ ლოთს“
მეძახიანი!

ოჯახში კი, მოფერებით, მიწოდებენ არდალიონს..
ძმებო, ასე შევეწიროე „დავლიო თუ არ დავლიო“!
ჩემთან სვამენ ჩემისთანა სუსტები და ფერმკრთალები,
უკვე არვინ არ მაძალებს, მე თვითონვე ვეძალები..
წუხებ, ოფლში რომ ვცურავდი, და რუმბივით მქონდა თავი,
ეს ვთქვი: „ჩემზე ახი არის! აღრე ვიყავ მოსაკლავი!“
ახლა მივხვდი, ქვეყანაზე ჩემი ყოფნა რა ძნელია! —
ნეტავ, ახალგაზრდობაში, ყურძნის წვენი დამელია!

ვანო ცინცაძე

1
ივნისი
1985

სტუდენტებისათვის

— განსაკუთრებით რა დაგამახსოვრდათ? — ჰკითხეს საქართველოში ჩამოსულ ერთ უცხოელ სტუდენტს.

— მართალი რომ გითხრათ, ბოლო ყანწმა ყველაფერი გადამაპოწყა!

სუნიძის გაგონება

— ის რა ცხოველია, დილას შინიდან ორი ფეხით რომ გადის და საღამოს ოთხით ბრუნდება?

შეგონება

ბრუნალი არყის შავ დღეს გაყრის — პატივს აყრის, ცოლ-შვილს გაყრის, მეგობრებს წაყრის, ცხოვრებაც დაგსჯის!.. ნეტავი, რა გრჯის — ფუნდამენტს ჩაყრილს წყალში რად ყრი?

ზადვეტი წამალი — საწამლაია, სასმელი — სასრობია, ქონი და ქონება — ქოშინი და გულის ღონება!.. უზომოდ დაღვე — დაგღვეს, გადაკრავ — გადაკრავს, გაფლანგავ — გაგფლანგავს, დაიტაცებ — დაგიტაცებს, მოაყურებ — მოგაყურებს, ატირებ — გატირებს, მოთხრი — მოგთხრის, დაითრევ — დაგიითრევს, დააშავებ — გაგაშავებს, დაბოღმავ — დაგბოღმავს, დაბომბავ — დაგბომბავს! — ასე იცის უზომობამ!

ლესიკონი

სადღევრძელო — ფიქტიურად სხვისი ჯანმრთელობის სასარგებლოდ, ფაქტობრივად საკუთარი ჯანმრთელობის საზიანოდ მიმართული ღონისძიება.

ნარკომანია — ძლიერი მიდრეკილება საკუთარი თავის გაუბედურებისა და გასაცოდავებისადმი.

აკოლონ ბასილია

ანის გასატყვისი

- **ნივია** ნონიაშვილი ანანია ნინუას ნუნუას უნიავებდა.
- **ჭა(ვ)ჭანიძე** და ჩაჩანიძე ჭიჭიკო ჯოჯუას „ჭაჭას“ უჭოჭმანოდ სვამდნენ.
- **ჭაჭის** არაყით ტყვრებოდა, თვრებოდა, მერე... კვდებოდა.
- **ხდიდა** ქვები საარაყე არაყს და რახს საარაყეს.
- **არაყიშვილი** არაყს ხდის, გვარს საკამათოდ არა ხდის.
- **ტყევალაძე** ტყემაღზე ზის, ღვინეფაძე ღვინოს ასმევს.

ბ. თინესალი

იდალური ცოლი

იუმორესკა

ცოლი (ქმარი შინ გაღეშოლი მთვრალი მოვიდა):
— ახ, რა კარგია, რომ ჩემი თვალისჩინ არ დაიბნა და თავის სახლს მოაგნო! ღმერთო ჩემო, ეს ვინ შემოახნია ჩემს საუნჯეს სახელოები და ბეჭებიც ლაფით ვინ გაუთხუნა?! სულიგნები! მოდი, გაგწმენდ, ფისუნია! შენ ისევ ფეხზე დგახარ?! ჩამოჯექი მანდვე, ბალიშზე! აი ასე! ძალზე გაფითრებული ხარ და რატომღაც ასლოკინებ! გინდა კიტრის მწნილი? მოდი, გაკოცო, ჩემო გულის დარდო და ღმენავ! ეტყობა, ისევ არაყი დაგიღვევია! შემდეგისათვის თუ გადაკვრა მოგინდება, აუცილებლად წინასწარ შემატყობინე, კონიაკისათვის ფულს დაგიმატებ და ნაბახუსევზე თავი აღარ ატკივდება! აგერ უკვე გასტრონომიე გაიღო, კონიაკს მოგიტან, ჩემო გამხარებლო! გავრბივარ, გავრბივარ!..

ვიტაუტა ჟილინაიბა (ვილნიუსი)




დღე პირველი — დღე უკანასკნელი!

ნ.ბ. ლოლუასი



— დღეიდან ეს სასმისები სამუზეუმო ექსპონატებად გადამექცა!



თბილისში, აბოვიანის ქუჩის № 7 სახლში, ბინის პატრონი, ელეგანტური, წარმოსადგევი, ოდნავ ჭალარა მამაკაცი ოთახში მოკრძალებით შემოუძღვა ქალს.

— უიმე, ამას რას ვხედავ! — შეიცხადა ციცინათელა აბრამიამ, — შალვა მიხაილოვიჩი, ეს თქვენი ბინაა?! ხომ არ შეგეშალათ?! ასე მგონია, ცნობილ პრადოს მუზეუმში ვარ!..

— ხე, ხე, ხე! — მორიდებით, ვითომდა ჯენტლმენურად ჩაიღიმილა შალვა მიხეილის ძე ათანელოვმა, — ქალბატონო ციცინათელა, მთელი ჩემი ცხოვრება ძვირფასი სურათებისა და უნიკალური, ანტიკვარული ნივთების შეგროვებას შევალე!.. შემძლია ვიამაყო, იმდენი უცნობი მხატვრის სურათი აღმოვაჩინე და ანტიკვარული ნივთები გამოვტაცე ისტორიის ანალებს!

— როცა ამ სურათებსა და ნივთებს ვუტყუარი, ხანდახან მეტაფორულ-ეპითეტური ემოცია მიპყრობს!.. ახლა ეს მარმარილოს ფიგურებიანი საათი ნახეთ! ამ ნივთში ხომ იგრძნობა წარსული ეგზოტიკის აქსესუარები?! ეს საათი ანტიკური სრულყოფილების იდეალური ნიმუშია! არა, ასეთი თვალებით ნუ უყურებთ ამ საათს, რა თანხაც უნდა შემადლოთ, ვერ დავთმობ! ეს საათი კეთილშობილი გოთიკისა და დაუოკებელი ფანტაზიის ნიმუშია: მიმანია. იგი მარტოოდენ ნივთი როდია, — ჩემთვის მიწიერი და სულიერი ცხოვრების გამძაფრების სიმბოლოა!..



ეტყობოდა, მასპინძელი გაჩერებას არ აპირებდა და დაზეპირებულ სიტყვებს ტყვიამფრქვევით ისროდა. მისი „მკვერმეტყველებით“ გაბრუებულმა და დამუნჯებულმა ციცინათელა აბრამიამ კედელზე დაკიდებულ ერთ-ერთ სურათს თითი მიაშვირა და, ის-ის იყო, რაღაც უნდა ეთქვა, რომ მასპინძელმა სურათი სწრაფად ჩამოხსნა და კვლავ ფუყე სიტყვების კორიანტელი დააყენა:

— ჰო, აი, ეს მესმის! ახლა კი დავრწმუნდი, რომ ამ სურათით დაინტერესება თქვენში დაბუდებული ინტელექტის ყივილია (ციცინათელა აბრამიამ გაცხებისაგან თვალები დააფახულა), მე ვიცოდი, რომ თქვენ ამ სურათს შეამჩნევდით!..

— იცით რა, — ციცინათელა კვლავ შეეცადა შეეჩერებინა ექსტაზში შესული მასპინძელი.

— მაკალე, ქალო! რას მაწყვეტინებ ამ ოქროსავით სიტყვებს?! ჰო, რამდენმა მთხოვა ეს სურათი, მაგრამ თქვენ უარს ვერ გეტყვით, 400 მანეთს კაპიკს არ დაუტკლებ! ჯანდაბას, ამ მარმარილოს ფიგურებიან საათსაც

დავითობთ!.. საათი რენესანსის ეპოქისაა! ერთი ამ მარმარილოს შევეულ ხაზებს დააკვირდით. ეს დიდი აპოლონიური ხელოვნების ნიმუშია!.. ამის უკანასკნელი ფასი 1000 მანეთია!

— გასაგებია, გავიგე!.. აი 1400 მანეთი! — ციცინათელამ ენად გაკრეფილ მასპინძელს ფული მიუთვალა. ქალაქში კონტად გახვეული სურათი და საათი ილღი-აში ამოიჩარა და, მასპინძელმა ხელოვნებაზე ლაპარაკი კიდევ არ გამიბასო, ათანელოვის ბინა-მუზეუმი სასწრაფოდ დატოვა.

— ესეც ასე! 300 მანეთი წმინდა მოგებაა, მაგრამ კონაღამ გავიჭედე, დაზეპირებული სიტყვები დამავიწყდა! ზარის ხმა გაისმა. ათანელოვმა კარი გააღო.

— აა, მობრძანდით, ქალბატონო ზაირა! ხომ გითხართ, მომაკითხავთ-მეთქი?! სხვას არ მივეყიდე ეს სურათი — „გოგონა კვერცხებიანი კალათით“. ნამდვილი შედეგია! ეს სურათი თავისთავადი და განსაკუთრებულია. გოგონას თვალებს დააკვირდით, როგორი სინათლე და ფერები იგრძნობა. ჰა, ჰა, ჰა! სწორედ ექსტრავაგანტური თვალები აქვს! როცა ამ თვალებს ვუყურებ, უნებურად აკვიტებული აზრები მეზადება, ასე მგონია, სადაცაა გოგონა გადმოვა სურათის ჩარჩოდან და კვერცხებს მომაწოდებს, და იცი, რისა მეშინია? კვერცხები ლაყე არ გამოდგეს! ხე, ხე, ხე! ხომ კარგია, ჰა?! ახლა ეს გულსაბნევი „კამეა“ ნახეთ! მენანება, მაგრამ ასეთ სინათლისმიერ ნაკეთებ ნივთს სულ იაფად, 500 მანეთად დავითობთ! ახლა ეს ძვირფას ხეში ნამუშევარი კომპოზიცია „ქრისტეშობა“ ნახეთ! ცხადია, ამის შემქმნელი ალბათ შემოქმედების ისეთი ხიბლით იწვოდა, რომ თავისი ტალანტის სიღიადესაც კი ვერ გრძნობდა. ესეც წაიღეთ, არ ინანებთ, ამის ფასი 600 მანეთია, სულ 1600 მანეთი მერგება! ესეც ასე, მშვიდობაში მოიხმარეთ!

„ხელოვნებამცოდნე“ შალვა ათანელოვმა ზაირა უშვერიძისაგან ფული მიითვალა და, ის-ის იყო, 1600 მანეთიდან მოგება 540 მანეთი ცალკე გადადო, რომ კარებზე კვლავ ზარის ხმა გაისმა!..

— დავიღალე ამდენი ლაქლაქით, ალბათ კიდევ მუშტრები! — შალვა ათანელოვმა ხელოვნებაზე თავგადადებულის პოზა მიიღო და კარები ღინჯად გააღო, მაგრამ იქვე გაშეშდა — ზღურბლთან მილიციის მუშაკები იდგნენ და სახლის პატრონს ბინის ჩხრეკის ორდერს უწვდიდნენ!.. ათანელოვის „მუზეუმში“, კერძო საექსპოზიციო „ხელოვნების შედეგების“ გარდა, სასპეკულაციოდ გამზადებული იმპორტული საათები და 9 ცალი გულსაბნევი „კამეა“ აღმოჩნდა!..

... ზის ახლა შრომა-გასწორების კოლონიაში ხელოვნებისათვის „დაფერფლილი“ კაცი — შალვა ათანელოვი და ფიქრით თავის დაკარგულ „შედეგებს“ დასტრიალებს!..

შალვა ათანელოვის ამბავმა ლევ ტოლსტოის შეგონება გაგახსენა: „ხელოვნების ტაძარი ტაძარი ვერ იქნება, სანამ ვაჭრებს ტაძრიდან არ გააძევენ!“

ზაალ მენენგიანი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

როცა ამ ნიშნის



სიყვარულია!..

ეროვნული
ნიშნების
სისტემა

რამდენჯერ თქმულა: თუ საჭეს ყზიხარ, არ
ყნდა მიიღო ალკოჰოლიანი სასმელი! —

„შეიყარა ხალხი, ეცნენ
არ მომიკვდე!..“



არც ,

არც , და, მით ყმეცეს,

არც !..

ბევრი ამას ერთ ყყრში რომ შეყშვებს, მე-
ორიდან გამოყშვებს ხოლმე.
ერთ ამბავს მოგიყვებით:
ძმაკაცმა ძმაკაცი დაბაციქა:

(ნუცარ არიან გაყლოყბრყვილონი, ტელეფონის
იმედი კიდეც რომ აქვთ!). სად იყო და სად არა,
გამოჩნდა ერთი კეთილი კაცი, გვარდა მანქა-

ნით, მოქებნა და მოიყვანა თეთრხალათიანები,
თეთრხალა-
ძმაკაცები თიანებმა სყლომობრძავი
თეთრზუნარგადაფარებყლო
საკაცებით თეთრ საწოლებზე დაანვინეს,
ბევრი ღამეც თეთრად ყთიეს, მაგრამ საქმე
მაინც შავად წავიდა!..



რომ არის, იქ ხოშიან ხაშს აკეთე-
ბენ, გამოაგორე შენი იორღა და წავიდეთო!
წავიდნენ.

მერე ჭერი ამაზე მიღვა და...

გაჩნდა ორი ბორცვი სასაფლაოზე!..

8.00-17.30 -მდე დაყვეს -ში (ამდენ

მორალი:

ალკოჰოლის მიყყავართ -მდე აქე-

ხანს გრძელდება ახლა „ხაში“). ძმაკაციც კაცი
იყო და ცოლი არ დაყდო ძმაკაცს.
გარეთ რომ გამოვიდნენ, ძმაკაცს თავში დაენყო

დან მოძრაობა მხო ლოდ ერთი მიმარ-

თყლებითაა და გზა მიდის იქ, სადაც ჩვენი

, მაგრამ არ შეიმჩნია —ვაქყაცი იყო,
ქართველი! გზაზე თავბრყხვევამ ყმატა, ძმა-
კაცი ამას ვერ გრძნობდა, მაგრამ მანქანამ ყმალო
იგრძნო ეს.

მყდმივი ღგომის აღგიღია, და საიღა-
ნაც

ყყან აღარ ზრყნდებიან!..

მიღის მანქანა, -ით, „რვიანს“ რომ
ეძახიან, ისე, ბევრი იარეს თყ ცოტაჰომებზრ-
და მანქანას სწორი გზა და გაფრინდა

მელოლებო, დაიხსოვეთ:

-ს შეიძლება იოლოდ გადაყრ-
ჩეთ, ალკოჰოლის კი — ძნელად!

!..



ქართული

შორში, არაყი, არაყიანი, არაყიანი
ანაში, სპირტი, ქაშიში, პლანტიციონი
დამლუპველია ადამიანის,
განსაკუთრებით საშიში არის!

ამ მერალ ლოთსა სიწითლთა
ცხვირი „დაუმშენებია“,
ეს გამოსაფხიზლებელიც
მისთვის აუშენებიათ!..

მეპორჩილის ნააზოგობი

დამისხეს, დამალევის,
ი ღვინო, შაქარ-ტიალი!..
დავთვერ, უკულმა ვიფიქრე
სოფლისა წაღმა ტრიალი!..
აზრი, გონება, ზრდილობა
ჩავეკალი ჯიხვის რქაშია!..
და პატარძალმა, ლამაზმა,
ჟრჟოლა მაშვიდა ტანშია!..
მივეჭერ, გადავეხვიე,
სიძეს ბოთლ ვსთნლიშე თავშია!..
როცა ჩამავდეს ცისში,
მაშინ ჩავეარდი ჭკვაშია!..

ბათუ მელია

სმით ბნელი გაქვს თვალები და
თავად ჰგავხარ სვავს!..
თუ არ შეგებრალე და,
გააგრძელე სმას, —
თუ ლოთობას, გამუდმებულს,
არ დაუდებ ზღვარს, —
განცხადებით მივადგები
სასამართლოს კარს! —
დაგიჭერენ, დაგიდგამენ
საბრალდებო სკამს!..
და, საქვეყნოდ რომ მოგჭრიან
მაგ უტვინო თავს, —
ავდგები და გაგვევრები
ალკოჰოლიკ ქმარს!..
შენგან შვილი მაინც არ მყავს. —
მივსთხოვდები სხვას!..

სოფელი იმად არა ღირს, —
სვა შინნახადი არაყი,
გამოტყვერე, იყიამყარალო,
იარო ყირა-მალაყით!

ლოთმა სასმელი
უარყო ბოლოს! —
უარყო მსოლოდ
უალკოჰოლო!..

ღვინოს, არაყს აღარ ვსვამ!..
(ვარ თამბაქოს მწვეელი!),
კიდევ ბევრი რაღაცა
დამრჩა დაუღუველი!..

ნახ. ბ. ლომიძისა



— აკი გეუბნებოდით, თქვენი ღღებები დათვლილია-
მეთქი!

კეთილი

მეზობელი

მინიატიურა

რვასართულიან სახლში მე-
ექვსე სართულზე ვცხოვრობ. აივნის-
წინ თეთრეული გასაშრობად გავფი-
ნე. ჩემს ზემოთ, მეშვიდე სართულ-
ზე, „კეთილი“ მეზობელი ალუბალს
ჭამდა და კურკებს დაბლა ყრიდა.



თეთრეული თანდათან ალუბლისფე-
რი ხდებოდა...

— ასე შეიძლება ალუბლის ჭა-
ბი?! — შევძახე მე.

— შეხეთ, ხალობო! — იყვირა მე-
ზობელმა, — ჩემს სახლში ალუბლის
ჭამას მიშლიან!

უ. ოპროსუბანელი

პატარა ფელეტონი

ეროვნული



უსიტყვოდ

ლაბაზი სოფელია ბაბუნი, თბილისიდან რაოდენად დაშორებულია. ეს სოფელი მაღლობზე მდებარეობს. იგი თავდაპირველად გარდაბნის რაიონს ეკუთვნოდა, დიდხანს შევნატროდით იმ სოფლებს, რომლებსაც ჰქონდათ წყალი, შუქი, გზა და ავტობუსი!.. დიდი ბრძოლისა და ჩივილის შემდეგ ჩვენთანაც ციციანთელელებით შემოიჭრა ელექტრონი. წყალიც უკადავების წვეთებით მოგვევლინა. ცოტაოდენი შეღავათი მოგვეცა, მაგრამ გზა?! გზა და ავტობუსი კი არ გვეღირსა!.. ზამთარსა თუ ზაფხულში, წვიმასა თუ მზეში, ღღისით თუ ღამით, ფეხით გვიბდებოდა სიარული. ვის არ მივმართეთ, რომ ჩვენთვისაც მოწყალე თვალთ გადმოეხედათ, მაგრამ...

ამ რამდენიმე წლის წინათ სასიხარულო ამბავი გვაუწყეს: სოფელ ბაგების ტერიტორია თბილისის ორჯონიკიძის რაიონს შეუერთესო! სიხარულით ცას ვეწიეთ. თავი ქალაქის მცხოვრებლებს გავუტოლეთ და შუებით ამოვიხუნთქეთ! ვიფიქრეთ: ახლა კი ეშველება ჩანგრეულ გზაზე ნასიარულე ფეხებს-თქო! იმედი გავვიცრუვდა! — გზა კი გააკეთეს შარშან, მაგრამ ავტობუსი ჯერ კიდევ არ დაუნიშნავთ. ისევ ძველებურად ფეხით დავდივართ. გვაიმედებენ, ფეხით სიარული ჯანმრთელობააო!

საინტერესოა, სატრანსპორტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც ამ გზით იკაუბენ ჯანმრთელობას?! იქნებ ამ შეკითხვაზე გვიპასურონ მათ, ვისაც ამ საკითხის მოგვარება ეხება?

თინა ჟინაძე

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

სამაგ

გუნდასკანა?

მეგობრები არიან
ნანა, ზინა და ლალი,
ზოგი სპეკულანტია,
ზოგი კიდევ — დალალი..
სამსახურში მიდიან
ჩანთებგატენილები,
მიაქვთ გასასაღებლად
ტუფლი, ლიფი, ლილები,
თავსაფრები, ჩექმები,
პერანგები, კაბები,
პომადები, სვიტრები,
წამლებიც კი — აბებით!..
ერთი ამბობს: — ეს კაბა
ცოტა განიერია,
ფერი მომწონს, სიგრძითაც
ძალზე მშვენიერია!..
თავის ფასში მოგართმევთ,
ხარჯი — ჩემი ზარალი!..
ნახეთ, რა მსუბუქია,
კოტონია ალალი!
გროვდებიან ოთახში
ახლო მყოფი ქალები

და სინჯავენ საქონელს
შედებილი თვალებით.
— ჩემს გოგონას ამ ჩექმის
ფორმაც მოსწონს, ფერიცა,
მაგრამ ბედი არ გინდა?
ვიწრო აქვს და ვერ იცვამს!..
ზოგი ლიფებს აქებს და
ზოგი კიდევ — ლილებსა
და სიბლავენ ქალებსა,
თვალბედაჭექტილებსა!..
ზოგი ჩაის აუენებს,
ზოგი ხარშავს ყავასა!..



ბოლო მაინც არ უჩანს
კამათსა და დავასა.
ვინ — სიგარეტს აბოლებს,
ვინ — მკითხაობს ყავაზე,
ზოგი კაბას იზომებს,
იციირება გავაზე.
ნურვის ნუ გეწყინებათ,
თუ სიმართლეს ვიტყვი მე:
საქმე? საქმის გულისთვის
ჩქ თავს არვინ იტკიფებს!..
სახელმწიფოს ხარჯზე რომ
უდარდელად ბუქნავენ,
დროა, მკაცრად მოვკითხოთ
ამ შტატთან უქნარებს!

თ. წითელაშვილი

ნახ. შ. ლელაძისა




— ჯერ რესტორანი არ გაღებულა!
— შემომიშვი, თუ ძმა ხარ! დასალევად არ მოვსულვარ, წუხელ ჩვენს დირექტორს სუფრაზე ცალი ტუფლი დარჩა!..



დუმიან
ქაქიძე


ეროვნული
ბიბლიოთეკა




უსიტყვოდ



სმანობიკა



საქართველოს
საბჭოთა
ბიბლიოთეკა
№ 446
25.VII 1985



უსიტყვოდ



უსიტყვოდ



სატირიკი
საბრძოლო-დაცემური
შურნალი
(1625) იმლინი, გამოდის
1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლგამაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ქაბუა ამირჯიბი, ნოზალი
ბართაყა, ჭორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჭე-
მალ ლოლუა, ნოდარ მაღა-
ზონია (მხატვარ-რედაქტო-
რი), ალექსანდრე სამსონია,
ბეჟან სიხარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წივიციანი, ნაფი ჭუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადეცა ასაწყობად 7. 6.
85 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 5. 7. 85 წ. ქა-
ლდის ზომა 60X90/4
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, სალოტიცვო-საგა-
მომცემლო თაბანი 1,9, სა-
ქართველოს კბ ცკ-ის გა-
მომცემლოზა, ლენინის, 14.
შეკვეთა № 1298 უფ 05520
ტირაჟი 143.000 შურნალი
გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-3, რუსთაველის
ბროსვეტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან — მემანქანის —
99-76-69.

სატირიკი - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке) Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издаель-
ство ЦК КП Грузии,
типография издательства
ЦК КП Грузии, Тбили-
си, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი.
ინდექსი 76137

— თვითონვე მივირის! არასოდეს ცარიელი ბოთლე-
ბი არ მივიღია!

მამა ქალაქში ჩავიდა ვაევივილის სანასავად
რომელიც უნივერსიტეტში სწავლობდა. დილაადრიან
მიავსო მის ბინას, ზარი დარეკა და სახლის პატრონს
კითხა:
— თუ შეიძლება, მითხარით, აქ ცხოვრობს სტუდე-
ნტი ფუნჯერი?
— კი, კი, — გამოსძახა მან, — ჯერჯერობით მანდვე
დააწვინეთ და მერე მე თვითონ შემოვიტან შინ!

— თქვენთან სერიოზული საქმე მაქვს, ბატონო! მინ-
და, ქალიშვილის სვლი გთხოვოთ!
— სვამთ, ჭაბუკო?
— გმადლობთ, გეთყავა, მაგრამ ჯერ ეს საქმე მოვა-
გვაროთ!

— რატომ ლოთობთ?! — უთხრა ოფიცერმა ჯარის-
კაცს, — რომ არ სვამდეთ, აქამდე კაპრალის წოდებას
მიიღებდით..

რესტორნიდან ორი მამაკაცი გამოვიდა.
— იფ, რა ღამეა! ორი მთვარე ანათებს!..
— ორი კი არა, სამია!

ისინი შეკამათდნენ. ბოლოს გადაწყვიტეს, მერსზე
ჩაძინებული კაცი გაეღვიძებინათ და მისთვის ეკით-
სათ.

— მეგობარო, შენი აზრით, რამდენი მთვარეა ცაზე?
უცნობმა თვალეში მოიფუნჯინა და მიუგო:
— გაანნია, რომელი მხრიდან დათვლი!

როცა დალაქმა სახეზე საპონი წაუსვა, კლი-
ნტი მაშინდა მისვდა, რომ ოსტატი მთვარელი იყო.
და შემინებულმა უთხრა:

— კანს სომ არ გამიჭრით?!
— ნუ გეშინია! შენ მარტო ის მითხარი, ნიკაპი
სადა გაქვს?!

ტრიტუარის კიდეზე პატარა ბიჭი ჩამოხვდა.
რიყო, თამბაქოს ეწყოდა და ბოთლიდან ვისკის წრუ-
პავდა. გამელულმა ქალმა შეპრწუნებით შეხვდა და
კითხა:



— სკოლაში რატომ არ ხარ?!
— სად გინახავთ, რომ სუთი წლის ბავშვები სკო-
ლაში დადიოდნენ?! — აღმოფთვდა ბიჭუნა.

მეზღვაურებმა გემიდან გადავარდნილი ამ-
ხანავი ამოიყვანეს და ვისკით ჭიქა აუვსეს.

— ბიჭებო, ჯერ თავდაყირა დაშვდეთ, რომ მთელი
წყალი დაიწრიტოს, თორემ გაზავებულ ვისკის ვერ
ვიტან!

ალექსანდრეპლაცზე გამომთვრალი უმ-
სოელი ტაქსში ჩავიდა და მძღოლს მიმართა:

— ალექსანდრეპლაცზე!
— სწორედ იქა ვართ, ჩემო ბატონო! — უთხრა
მძღოლმა.

მგზავრმა ფული გადაუხადა და თითით დაემუქრა:
— სხვა დროს ასე სწრაფად აღარ იარო!

პანსმა ლუდის ბართან თვალი მოჰკრა მეგო-
ბარ ფრანცს, რომელიც, კარიდან გამოვარდნილი,
მიწაზე გაიშლართა.

— ეს რა ამბავია?! გამოვიწროლეს?!
— არაფერია, — ძლივს ამოილულულა გაღვიშილმა, —
მაინც გამოსვლას ვაპირებდი!..

მისის ანდერსონმა ქმრის კაბინეტში ბლომად
ცარიელი ბოთლი აღმოაჩინა და კითხა:
— აქ საიდან განჩნდა?!

— კი, ბატონო ლეიტენანტო, მაგრამ, როცა დავეუ-
სოლმე, თავი პოლკოვნიკი მგონია!

ცოლი: ან ღვინო, ან მანქანა, ან მე!
ქმარი: რატომ ნერვულობ, ქვირფასო?! ჩვენ
სომ სამიუენი ვებრეთი მანქანაში?!

— მთვარლმა რატომ გაიტაცეთ ავტომობილი?!
— მატარებულზე მაგვიანდებოდა!
— ვაგზალზე ტრავებით არ შეგეძლოთ წასულივა-
ვით?!
— როგორ არა, მაგრამ როდის იყო, მთვარლს ტრამ-
ვაი გაეტაცებინოს?!

— მძღოლო, თქვენ მთვარალი ხართ!
— ბატონო ჩემო, კვითხეთ გლაზგოში, ვისაც გნე-
ბავთ და, გეტყვიან, რომ მაყფერსონი ქალაქის ალკო-
პოლიკთა შორის ყველაზე საუკეთესო შოფერი!

— რა შემემთხვა? — ამოილულულა ლოთმა მძღოლ-
მა, ოპერაციის შემდეგ გონს რომ მოვიდა.
— თქვენ საავტომობილო კატასტროფაში მოხვდით
და ოპერაცია გაგიკეთეს!..
— ესე იგი, მე საუადმყოფოში ვარ?!
— კი, მაგრამ მთლიანად არა: ცალი სული და ცალი
ფენი გაკლიათ!
გერმანულიდან თარგმნა შოთა ამირანაშვილმა

